მოლოდინი არ გამართლდა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 27 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “შახტიორი” (დონეცკი) 0:0.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი (გ. მაჩაიძე), დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (ჭილაია).

“შახტიორი”: ჩანოვი, ვარნავსკი, ზვიაგინცევი, სიმონოვი, პიანიხი, რუდაკოვი, რაგოვსკი (შფოროსტოვი), სოკოლოვსკი, სტარუხინი, ფედორენკო, საფონოვი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

ამ მატჩს განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი – სატურნირო ცხრილში შექმნილი ვითარება უშეღავათო, დაძაბული ორთაბრძოლის ნაღდი გარანტია იყო. აქედანვე ვიტყვით, რომ მოლოდინი არ გამართლდა – ჩემპიონატის ორივე ლიდერი მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენდა და მატჩმაც, პირველყოვლისა სანახაობრივი თვალსაზრისით, ბუნებრივია, ბევრი დაკარგა. დონეცკელ და თბილისელ ფეხბურთელებს შორის პირველივე ტურიდან დაწყებული დავა – დავა ერთპიროვნული ლიდერობისათვის – მომავლისთვის გადაიდო.

შეხვედრა თბილისელთა იერიშით დაიწყო, თუმცა სტუმართა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევამ რამდენადმე გაანელა “დინამოს” სურვილი პირველ ტაიმშივე გადაეწყვიტა მატჩის ბედი. შესვენებამდე საგოლე მომენტები, მართალია, აქა–იქ, მაგრამ მაინც იქმნებოდა ხან ერთ, ხან მეორე კართან, შესვენების შემდეგ კი, თუმცა ტერიტორიული უპირატესობა მასპინძელთა მხარესაა, ბრძოლა ძირითადად მინდვრის შუაგულში უფრო სწორად, ცენტრალურ ხაზსა და “შახტიორის” საჯარიმოს შორის მიმდინარეობს.

თბილისელებმა ვერ შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა, დაკარგეს აგრერიგად საჭირო ქულა, მაგრამ საგანგაშოც არაფერია, მით უმეტეს, რომ ჩემპიონის ცოტა არ იყოს ინერტულ თამაშს მიზეზებიც აქვს (ტრავმები, ოთხი–ხუთი ფეხბურთელის ნაკრების მატჩებში მონაწილეობა).

თქმა არ უნდა, “დინამოს” ქომაგებისთვის საწყენია გუშინწინდელი ფრე, მაგრამ იმედისმომცემიც ბევრი ახლდა მატჩს: გუნდის შემადგენლობაში როგორც იქნა, მთელი 90 წუთი ითამაშა ყიფიანმა, კიდევ ვიხილეთ გოგია, ალბათ გადაღლილ ქორიძესაც დასვენების საშუალება მიეცა.

ახლა თბილისელებს ზედიზედ სამი ძნელი მატჩი აქვთ ჩასატარებელი სტუმრად – ორი ჩემპიონატისა, ერთიც სათასო – 9 ივნისს.

ბ. ირემაძე.

“ლელო”, 29 მაისი, 1979 წ.